„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэва“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ.. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის ვგალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი აგვისტოს პირველიდამ წლის დამლევამდე 4 მან. და 50 კაპ.; სოფლის მასწავლებელთათვის 3 მან. და 50 კაპ.

დროების რედაქცია საყოველთაოდ აცხადებს, რომ შავერდოვის სააგენტოში აღარ მიიღება ხელის-მოწერა ამ გაზეთზედ და არც განცხადებები მასში დასაბეჭდად. ხელის-მომწერთ, ან განცხადების მოცემის მსურველთ რედაქცია სთხოვს პირდაპირ რედაქციის კანტორას მომართონ, (სასახლის ქუჩა, დ. სარაჯოვის სახლში).

## განცხადება

სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილება ივლისის 25-დამ გადავიდა საკუთარ სახლში (მიხეილ თამამშოვისეულში), ფრეილინის (ირაკლის) ქუჩაზე.

## შინაური ქრონიკა

◦◦◦ ეს ორი კვირაა, რაც ჩვენს ქვეყანაში იმყოფება შესანიშნავი მოგზაური ჩინეთში ბ. პიასეცკი. ამ მოგზაურს რამდენჯერმე დაუვლია ეს უცნაური სახელმწიფო და თავისი მოგზაურობა ორს დიდს ტომადა აქვს აღწერილი. პიასეცკი ჩინებული მხატვარიც ყოფილა და დარიალის ხეობაზედ გამოვლის დროს, ისე შეუპყრია ამ ხეობის მშვენიერებას, რომ ათი დღე დარჩენილა იქ და საუცხოო ესკიზები დაუხატავს კავკასიის ბუნებისა.

◦◦◦ ივლისის 25-ს ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკში მოხდა ვაჭრობა ქალაქის მამულებზე. გასასყიდად დანიშნული იყო 12 მამული. ამათგან გაიყიდა 8. მეორე დღეს (26) დანიშნული იყო ვაჭრობა სოფლის მამულებზე და 2 მამულზე ქ. ფოთში. სულ ისყიდებოდა 9 მამული; გაიყიდა 3 მამული. მეორე და უკანასკნელი ვაჭრობისათვის დანიშნულია გასასყიდად 4 ქალაქისა და 6 სოფლის მამული.

◦◦◦ დღეს, ივლისის 30-ს, თბილისის საადგილ-მამულო ბანკის ზალაში დანიშნულია ვაჭრობა ქუთაისში და გირავებულ თბილისის მამულებზე.

◦◦◦ ნეტა ვიცოდეთ, ჩვენი ცხენისრკინის გზის გამგეობა რა აზრით ხელმძღვანელობს, როდესაც ვაგონების მიმოსვლის წესსა სწერს! აუცილებლად საჭიროა, რომ რკინის გზის ვოგზალამდე წასაყვანად თავ-თავის დროზე ვაგონები დადიოდენ, და ხალხს ფაეტონის მძიმე გადასახადი აარიდონ. ნამდვილად კი რასა ვხედავთ! წარსულ კვირა დღეს დილის რვა საათამდე არც ერთ ვაგონს არ გაუვლია ვოგზალისაკენ მიმავალს და ვაგონების მოიმედენი ან ქვეითი უნდა მისულიყვნენ ვოგზალამდე. ან ისევ ფაეტონი დაექირავებინათ, ან მატარებლისათვის ველარ მიესწროთ. მოგეხსენებათ, რომ კვირა-უქმე დღეებით მრავალი მოგზაური გადის ქალაქიდამ უბარგიბარხანოდ და ამისთანა მგზავრთათვის ცხენის რკინის გზით სიარული დიდი სარფაა. მაგრამ ამ დღეს რომ გზის გამგეობა ისე იქცევა, თითქო მეფაეტონეებთან პირობა შეეკრასო, სხვა დღისათვის ხომ სრულიად თავს არ გაიცხელებს.

◦◦◦ გორის მაზრაში თუმცა ქიარიმა არ არის, მაგრამ იქაც გამოჩენილა რაღაც უცნაური არსება, რომელიც დაუსჯელად ქიარიმს ჰბაძავს, მაგრამ მოხერხებით კი ვერ მოუხერხებია. სახელად ამ არსებას ულუმბეგა ჰქვიან, სოფლით-სოფლად დაიარება, თურმე, და ყველგან იძახის გზები უნდა გავაკეთოო (ამბობენ, ამ აზრზედ შეშლილა). ვისაც შეხვდება გავლელ-გამომვლელ გლეხ-კაცს, უწყალოდა სცემს, მეტადრე თუ გლეხურად აცვია. ამ დღეებში ულუმ ბეგა სოფელს ქეხვში ყოფილა, უმიზეზოდ მივარდნია იქაურ მამასახლისს, შესდგომია ზედ წიხლით და ზედ მიწა მიუყრევინებია... ცოცხალი უნდა დაგმარხოო.

იმედია, გორის ადმინისტრაცია შეიკავებს როგორმე ამ ჰკუაზედ ხელაღებულს...

◦◦◦ სურამიდამა გვწერენ: «აქაურ ხიდზედ შარშანაც დაიწერა, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. ეს ხიდი დიდს გზაზედ არის გაკეთებული და მრავალი ხალხი დადის ზედ, მაგრამ ისე ჰფანფალებს, რომ გამვლელ-გამომვლელს ყოველს წუთს შიში გულში უტრიალებს, ხიდი ჩაიქცევა და ამოდენა დამპალი ხის მასალა თავზე დამაწვებაო. ხიდის სიძველის გამო მასზედ ქვეითი ხალხის მეტს არავის უშვებენ, ასე რომ ურმებმა სხვა გზით უნდა მოუარონ და ეს გზა ისეთი ოღრო-ჩოღროა, რომ ამ ცოტას ხანში რამდენიმე ურემი გადაბრუნებულა ›

◦◦◦ ქიდამვე გვატყობინებენ, რომ ეკატ. ადამის ასულის მუატისა და თ. ქაიხოსრო ქაიხოსროს ძის ხერხეულიძის თაოსნობით ამ დაბაში წარმოდგენისა და კონცერტის გამართვას აპირობენ «წერა-კითხვის საზოგადოების» სასარგებლოდ. კონცერტი აგვისტოს 4-ს უნდა იყოს და ერთის ან ორი კვირის შემდეგ წარმოდგენა. ურიგო არ იქნება, რომ სხვა საზაფხულო ადგილებშიაც მაგ. ბორჯომში, აბასთუმანში ითაოს ვინმე ესეთი სასარგებლო და თან სასიამოვნო საქმე.

◦◦◦ მისაღები ეგზემენები სახელოსნო სკოლაში შესვლის მსურველთათვის დაიწყობა რუსებისთვის აგვისტოს 26 ს ორშაბათს, სომხებისთვის 27 სამშაბათს და ქართველებისთვის

---

## ქუთაისში

«მასესხე, მასესხე»—ეს ლექსი გესმით ამ ჟამად ყველაფერზედ უფრო ხშირად ქუთაისში. პა, პა, პა, თქვენი ჭირიმეთ—რა ქესატობაა.... რომ არ გაგონილა. უფულობა მუდამ განუშორებელი, უპირველესი სენი იყო ჩვენში, მაგრამ ასეთი კი არ გაგონილა ჯერ. ვისაც არ ხედავ—ყველას თავი ჩაუკიდია, დაღონებული დადის. ჩასცქერიან დედა-მიწას, თითქოს ეძებენ რასმეო. გაიხედავ და—აგერ ერთი წაილუნება, აგერ მეორე: რაღაც შენიშნა მიწაზე თეთრი, ოც და-ხუთიანად მოელანდა და წაუსვა ხელი, მაგრამ უბრალო ქაღალდის ნაკუწი რომ შეხვდება—სწყევლის მას ვინც ის გამოიგონა. თქვენგან არ მიკვირს:—ვის რა აქვს, რა გააჩნია, რომ ქუჩაში დაებნია.

— მოშა, ელო, ყობო, მასესხე... მასესხე... მასესხე... მანათს მანათზე მოგცემ, გირაოდ მთელს ქონებას და სამ-კეც «ნეუსტოიკას» ჩაგიწერ... მეტი რაღა გინდა... თავდებსაც უუსაიმედესო კაცს გიშოვნი... იწამე მესია...

თქვენი მტერი,—რომ გავრცელდა მიკრობები ებრაელთ კრედიტის ბილეთების წყალობით.

აბა, სად, ვის შესჩივლებ ასეთ დროს, ვინ გათხოვებს ყურს. კარს გადგას ბანკის ვალი. გაგიშენებია ქოხი და ხვალ აგაბარგებენ, ცხადია... ერთიღა საშულება დაგრჩენია—მიეცი ნუგეშალი შენს, იქნება ვაითა და ვუითაც აგებულს შენობას, და გადაბუგე... და ასეც იქცევიან დღეს ქუთაისში.

სწორე მოგახსენოთ, თუ ასე წარმატებით წავიდა ცეცხლის წაკიდების საქმე ჩვენში, სულ ბევრი რო ვსთქვათ, ორი თვის შემდეგ ქუთაისი ძველ ნანგრევებად გადაიქცევა. ჩაივლის ვინმე უცხოელი და იტყვის: «აქ ეტყობა ერთ დროს ქალაქი უნდა ყოფილიყოსო». რომელი უბანი გნებავთ ჩვენის ქალაქისა, რომ ორის სამის შენობის გატიტვლებულის კედლებით არ იყოს დამშვენებული დღეს.

ღამის მეორე საათამდე შეხვდები ბაღში, თუ ხიდზე მოსიარულე ხალხს და რო ჰკითხო—ძილი დაგავიწყდათქო,—გიპასუხებს.

— მოიცადე, შე კაი კაცო, ერთი ხუთიოდე წამი კიდე და მშვენიერს სანახავს გიჩვენებ...

— მაინც?

— ეჰ, თითქოს არ იცოდე: შეიქნება ზარის რეკა, ატყდება ხმაურობა, ძაღლის ყეფა და ალიც ავარდება ან აღმოსავლეთით, ან დასავლეთით, ან ჩრდილოეთით და ან კიდევ სამხრეთით.

გაიტეხ ძილს ორ საათამდის, მაგრამ სანახაობას მართლაც არ ასცდები ყოველ-ღამ, უეჭველად.

დ. მერე რა ოსტატურად მოედება ცეცხლი შენობას, აღარ იკითხავთ. ხედავ—შენობა გრძელია, თუნდ ათითხუთმეტი საჟენი. ამ თავში, შუაში და იმ თავში ერთად ავარდება ალი. აბა, რა გააწყოს ჩვენმა საწყალმა ცეცხლის-მქრობმა რაზმმა ამ შემთხვევაში. რაც შეუძლიან, ფაცურობს, ხალხიც ეხმარება, მაგრამ ასე ერთბაშად მოდებულს ცეცხლს ზღვაც ვერას უშველის. მერე კიდევ ნავთით გაჟღენთილს საძირკვლებს და კონსტრაფილებს ასხი, რამდენიც გენებოს, წყალი,—თუ უფრო გააზვიადებს სიცხეს, თორემ გაქრობით, აბა, რა გააქრობს.

ქუთაისელს მემატიანეს ბოდიში მართებს მკითხველებთან. ასეთს გააფთრებულ ბუნებრივ სიცხეების დროს იგი, მემატიანე კიდევ სულოვნურ, განგებ მოწყობილს სიცხეზე—ცეცხლზე ლაპარაკობს მუდამ, მაგრამ რასა იქ, რომ ეს გარემოება დღიურ ვარამად

28-ს ოთხშაბათს. არზებიც ამავე დღეებში მიიღებიან.

❁❁❁ როგორც გაზეთს „კავკაზს“ გაუგონია, ერთს ხმოსანს ქალაქის საბჭოში წინადადება შეაქვს, რომ ერევნის მეიდანზედ გაკეთებული ბაღი დაინიშნოს ყოველ-დღე სასმრებელი ხორაგეულის გასასყიდველ ადგილად თავის წინადადებაში იგი თხოულობს სკვერს (ბაღს) გარშემო მოაჯირი შემოერტყას და მოაჯირითვე ოთხ განყოფილებად დაიყოს. ერთი განყოფილება ქათმისა და კვერცხების გასასყიდად იქნება, მეორე თევზისა; მესამე—რძისა და მეოთხე მწვანილეულისა. გამყიდველთ მცირე გადასახადი გამოერთმევათ, ქალაქის სასარგებლოდ. ასეთისავე ბაზრების გამართვა სურს აბას-აბათის და ეგზარხის მეიდნებზედ.

❁❁❁ ივლისის 2-ს პეტერბურგში იყო კრება კავკასიის რკინის გზის საზოგადოების აქციონერებისა, რომელზედაც გამგეობის წევრად ისევ ალენიკოვი ამოარჩიეს და იმი სამი კანდიდატის შორის არიან ბ.ბ. ნ. ი. ნიკოლაძე და სტრუგოვშჩიკოვი.

❁❁❁ ივლისის 25-ს დილის 8 საათზედ მთავარმმართებელი წაბძანდა თბილისიდამ სამხრეთ კავკასიის ადგილების და ჯარების დასათვალიერებლად. მოგზაურობა აგვისტოს თექვსმეტამდის გაგრძელდება. თბილისიდამ წავა და გაივლის ეკატერინოფელდს, ვორონცოვკას, ჯალალ-ოღლის, ყარაქლისს, ალექსანდროპოლს, ამარათს, ყულფს, ქაღიზმანს, სარაყამიშს, ყარსს, არდაგანს, ახალ-ქალაქს, აბას-თუმანს, ბორჯომს და მერე თბილისში დაბრუნდება. („კავკაზი“).

❁❁❁ გაზეთს „კავკაზს“ სწერენ სიღნაღიდამ ამ თვის 15-დამ, რომ აგერ მეოთხე დღეა, რაც საცხენისში ტყე იწვის ოთხი ვერსის სივრცეზედ. ადმინისტრაცია გულ-მოდგინედ ცდილობს ცეცხლის გაქრობას. ვაჩნაძეების ტყესაც გაუჩნდა ცეცხლი და რადგანაც მეპატრონეთ ყურადღება არ მიაქციეს, თან-და-თან გაძლიერდა. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ცეცხლის გასაქრობად თითო სოფლიდამ 20—25 კაცამდის გამოიწვია. ხალხი ცეცხლის წაკიდებას ლეკებს აბრალებს, რადგანაც წინანდებურად თავისუფლად ველარ ხმარობენ ტყეებსაო, მაგრამ არა გვგონია რომ ეს ხმა მართალი იყოს ცეცხლი უფრო გაუფრთხილებლობისაგან ჩნდება და საშინელი გვალვაც ხელს უწყობს.

❁❁❁ ბათუმში დაუწესებიათ კარანტინი იმ გემებისათვის, რომელნიც ხმელთაშუა-ზღვაზედ მდებარე საფრანგეთის ნავთსადგურებიდამ მოდიან.

## «დროების» კორესპონდენცია

ქარელი, ივლისის 19-ს. ქ. გორის ზემოდ, ჩვიდმეტი ვერსის მანძილზედ, სძევს ს. ქარელი. მდებარეობით ქარელი ერთი უკეთეს სოფელთაგანია გორის მაზრაში. აღმოსავლეთით მას უძევს ს. ხვედურეთი; დასავლეთით ჩამოუდის მდ. ძამა, რომლითაც რწყავენ სახნავ-სათესს მიწებს და აბრუნებენ წისქვილებს; სამხრეთით შემორტყმულია თრიალეთის მთის შტოებით, საიდგანაც აქაურები ეზიდებიან შეშას რკინის გზის სტანციაში და ტივის ხეებს; ჩრდილოეთით ჩამოუდის მტკვარი. ეს უკანასკნელი დიდ სარგებლობას აძლევს აქაურებს. ესენი მასში იჭერენ თევზს, მითი მიაქვთ ქ. თბილისში ტივები და ჰყიდიან კარგ ფასად. პურის მოსავალი კარგი იცის; იგი არაოდეს ისრე არ მოსცდება, რომ შიმშილი ჩამოვარდეს, როგორადაც მალ-მალ მოხდება ხოლმე ზოგიერთ საქართველოს კუთხეებში. წრეულს თუმცა უწვიმობამ, მეტადრე ქვენა-ქარმა მოსავალს ზიანი მისცა, პურის მარცვალი კარგად ვერ დასრულდა, მაგრამ საზოგადოდ არა უჭირს-რა. როგორიც პურის მოსავალი აქვთ, იმისთანა ღვინის მოსავალიც რომ ჰქონდეთ, ქარელელები ბედნიერნი იქნებოდენ; მაგრამ, სამწუხაროდ, უკანასკნელ მოსავალს მოკლებულნი არიან. მიზეზი ამისი გახლავთ ვენახების უქონლობა. თუმცა აქა-იქ თითო-ოროლას აქვს პაწაწკინა, ბაღის ტოლა, ვენახები, მაგრამ მათი მოსავალი პატრონებს არც კი ჰყოფნის.

იქნება იფიქროს ვინმე, რომ ვითომც ვენახების უქონლობის მიზეზი იყოს მიწის უვარგისობა ვაზისათვის, მაგრამ ეს სულ ტყუილია. რომ აქ ვაზს შეუძლიან ხეირობა, ეს ცხადია; ამას გვიმტკიცებს თ. ი. ციციშვილის ვენახი, რომელმაც კარგად იცის მოსხმა და კარგი ღვინოც გამოდის. ამ ვენახის ღვინო ზოგიერთ კარგ ქართლულ ღვინოებს არ ჩამოუვარდება. ვენახების უქონლობის მიზეზი პირველად ის არის, რომ მათ შემუშავებას ბევრი დრო უნდება, ზამთარში ვაზს დამარხვა სჭირდება, რადგანაც დიდი ყინვები იცის და ვაზს ახმობს. მეორედ ის, რომ აქაურებმა არ იციან ვენახის რიგიანად შემუშავება და ამის გამო მათს გაშენებას ვერ შესდგომიან. მესამედ ის, რომ ქარელი იმისთანა ადგილზე მდებარეობს, რომ თვითონ მდებარეობა იწვევს ხალხს სხვა საქმეზედ; მაგალითად მტკვარი იწვევს მათ სათევზაოდ, ტივის წასაღებად ქალაქში; რკინის-გზა სტანციაზე შეშის ჩამოსატანად და სხ., ასრე რომ აქაურებს დრო აღარც კი რჩებათ ვენახის შესამუშავებლად. ამისთანა გარემოებით ისარგებლეს იმერლებმა და ამ სამი წლის წინად გაალეს ორი სირაჯის დუქანი, მოზიდეს იმერეთიდგან კარგა ბლომად ღვინო და დაიწყეს ვაჭრობა; თუნგ ღვინოს ათ შაურათ ჰყიდდენ. ღვინოს არა უჭირდარა და კარგი გასავალიც ჰქონდა; ეხლაც კარგი გასავალი აქვს; წელიწადში სულ უკანასკნელი სამასი თუმნისას მაინც ჰყიდიან. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეხლა იმისთანა ღვინოს ჰყიდიან, რომელსაც არც კი შეშვენის ღვინის სახელი,—იმისთანას, რომელსაც აქვს «ფერი ლალისა, გემო წყალისა», თუმცა ისევ იმ ფასად იყიდება, როგორადაც წინად. მაგრამ რა გაეწყობა, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ქართველი კაცი უღვინოდ ვერ გასძლებს, უიმისოდ არ იქნება არც ჭირი და არც ლხინი; და აი ამის გულისთვის ძალა-უნებურად უნდა ვიყიდოთ ამისთანა უსარგებლო სასმელი და მით დავაკმაყოფილოთ მუცლის მოთხოვნილება მაინც.

ღვინოს ჯანი გავარდეს, როგორც იქნება, იმერლების წყალ-ღვინით იოლად გამოვალთ, მაგრამ უსკოლობას რაღა ვუყოთ. ზოგიერთ სოფლებში, სადაც ას კომლამდე მცხოვრებია,—სკოლებია; ჩვენში კი, ამოდენა სოფელში, სადაც სამას კომლამდეა, სკოლა არ არის. ეს მიტომ უფრო სამწუხაროა, რომ ბევრს სურს შვილების მიცემა სასწავლებელში, მაგრამ იმდენი ქონება არა აქვთ, რომ თავიანთ შვილები წაიყვანონ სადმე სასწავლებელში და იქ აღზარდონ თავიანთ ხარჯით.

ბოლოს ერთს სასიამოვნო ამბავს მოგახსენებთ. ეს გახლავთ ქურდობის შეწყვეტა ჩვენში. თუმცა ქურდობაზედ ჩვენში გაზეთების ფურცლებზედ არაფერი სწერებულა, მაგრამ ეს იმას არ ამტკიცებს, რომ ვითომც აქ ქურდობა არ ყოფილიყო. ბევრი კარგი ცხენი მოუპარავთ და სახლიც გაუცარცვავთ, მაგრამ მშველელი ვინ იყო. ქურდობაში თვითონ აქაურებიც კი ერივნენ; ერთი აქაური ებრაელი ეხლაც სატუსაღოში ბძანდება ქურდობის თაობაზედ. მაგრამ რაც ყარაულები დააყენეს, გროშის ღირებულიც არა დაკარგულარა; ყარაულებად იმისთანა ტალიკ-ტალიკი ბიჭები არიან, რომ იმათი შიშით არამც თუ სხვა სოფლელები ვერ ჰბედავენ ღამე შემოსვლას ჩვენში, არამედ თვითონ აქაურებსაც უჭირდებათ ღამე ტყუილ-უბრალოდ ხეტიალი. ამ ცოტახანში ერთი ხვედურეთელი კაცი ღამის თერთმეტ საათზედ ცხენით შემოვიდა სოფელში. დაინახეს თუ არა ყარაულებმა, მაშინვე დაუძახეს, ვინ ხარო;

გამხდარა აქ და მემატიანეც, თუ კი ნამდვილად ატარებს ამ წოდებას — ვერ ასცდება ამ გარემოებას, ვარამს... მაშ ჩვენც მოგვეტევება...

—

სამი ავაზაკი, რომელნიც ერთს ოთახში მსხდარან ქუთაისის სატუსაღოში, ერთობ შეუწუხებია სიცხეს. ამათ მოუსურვებიათ ლომჯარიას ნახვა, რომელმაც ისე ბედნიერად დაალწია თავი ამ სატუსაღოდამ და განუზრახავთ იმის კვალის გაყოლა.

ზანთიადისას სატუსაღოს ზედამხედველი ჩამოუვლის ოთახებს. ხსენებული ტუსაღების ოთახში რომ შეიჭვრეტს (კარების პატარა ჯუჯრუტანიდამ)—შეამჩნევს, რომ სამთავ ტუსაღებს სძინავთ, მაგრამ ორი ამათგანი სუნთქავენ, ხოლო მესამეს კი თითქოს სიცოცხლისა არასფერი ეტყობა, უსუნთქველად სძინავს. ზედამხედველი მოიხმობს ყარაულებს და ესენიც დაემოწმებიან, რომ მესამე ტუსალი არა სუნთქავსო. დაუძახებენ მეკარეს, გაალებენ ოთახს და რა აღმოჩნდება: ორს ტუსალს მართლაც სძინავთ და მესამეს მაგივრად კი ნახვენ ნაალის თუ ბალიშის თივით გატენილს პერანგსა და ამის ამხანაგს საბან-გადაფარებულს. საჩქაროდ აღვიძებენ ვითომ მძინარე ორს ტუსალს და ეკითხებიან მესამეზედ. ისინიც უთითებენ ჭერზე. აი, რა ექნათ: გამოეჭრათ ჭერი, ერთი ტუსალთაგანი ასულიყო ზევით, გადაება რაღაც ჭინჭები ერთი მეორეზე, თავში ჩაება ქვა და გადაესროლა სატუსაღოს გალავანზე. აქ მზად ჰყავდათ თურმე ფაეტონით ამქრები, რომელნიც თოკს მიაწოდებდენ მათ. საქმე, როგორც ხედავთ, მოხდენილად გამოეწყოთ, მაგრამ ჩაეფუშათ ყოველივე. უფრო ხელი მოუჭირეს მათაც და დაატუსაღეს, ამათი ხელის-მოწყობის გამზრახველნიც..

—

ეს საბრალო, გამოგონილი მეგრული ენა და ამის გამოგონილივე ანბანი! რა არ უყვეს მას. ეხლა ვილაც აქაური რუსული ენის მასწავლებელი, რომელსაც არაფერი აქვს არც ქართული და არც მეგრული, არდგენს მეგრულ ანბანს, არდგენს-მეთქი—იგონებს, სთხზავს! დიაღ, მეცხრამეტე საუკუნე პროგრესია, მარა უნდა იყოს. კმარა—რომ არ დამერქვას მეტიჩარა...

—

ეხლა ორიოდე ცხელი ამბავიც:

ქუთაისის ქალაქის გამგეობა მიხვდა, როგორც იყო, რომ ერთად-ერთი სულის მოსაბრუნებელი ჩვენთვის, ქუთათურებისთვის არის ჩვენი «ბულვარი». იმ ხანად ყოველი თქვენი მოყვარე მოიყაროს, რა ხანამდეც მოყრილი ამ ბაღის მოაჯირია. ეხლა გამგეობას განუზრახავს ამ მოაჯირის განახლება. ექვსი ათასი მანათი სჯდება უბრალო რკინის მოაჯირი,

—

გუშინწინ გაიხსნა მესამე რკინის ხიდი. ეკიპაჟებმა იწყეს ზედ სიარული. კურთხევა და სხვა ცერემონია, მგონია, სხვა დროსთვის გადასდვა ქალაქის გამგეობამ.

—

აქ ჩამოვიდა ერთი სუჯუნელი ებრაელი, რომელიც ჰყიდულობს პურსა და ფქვილს. სუჯუნელი მეპურეები უკაცურად გვეპყრობიანო: გამომცხვარს პურში გოჭის თავ-ფეხს, ხან ყურს შევხვდებითო და ამიტომ გადავსწყვიტეთ, აღარ ვიყიდოთ მათგან პური და ჩვენი საცხობი გავმართოთ.

მაგრამ მან ხმა არ გასცა. მეორედ კიდევ დაუწყეს სახელი და გვარის გამოკითხვა. მან მიგების მაგივრად, დაუწყო ლანძღვა და გააჭენა ცხენი. მაშინ ერთი ყარაულთაგანი გამოუდგა, გადმოაგდო ცხენიდგან და კარგად გაბერტყა. თუმცა ნაცემმა იჩივლა აქაურ მოსამართლეებთან, მაგრამ შემდეგი გარდაწყვეტილება მიიღო: მცემელს უნდა გაეკეთებინა სადილი და დაეპატიჟნა ნაცემი და ისრე უნდა დაეთრო, რომ მას მცემელი ველარ ეცნო.

ა. ცხვედაძე.

## წერილი რედაქტორთან

«მწყემსის» მე 14 №-ში მკითხველი წაიკითხავდა, თუ როგორ ძლიერ გაკვირვებულა და კიდეც გაცეცხლებულა მ. გერასიმე ხუსკივაძე იმ გარემოებით, რომ მას ერთ პარაშოკ ქინაქინაში ჩემს აფთექაში გარდაახდევინეს ერთი აბაზი. «მე მ—ლს თუ ასე მიშვრებიან, რას უზამენ საწყალ გლეხებსო?» სწერს იგი. ბევრმა გლეხმა კარგად, იცის რომ ქინაქინის პარაშოკის ფასი ექვს შაურამდე ადის და კიდევაც გარდაემატება. მე თქვენ მოგართვით კაი პარაშოკი, რადგან თქვენი კაცისაგან გავიგე, რომ ძლიერ ავად ბძანდებოდით ცხელებით. ყველამ კარგად იცის, რომ შაურიანი ქინაქინის პარაშოკი რგებს პატარა ბავშვებს და არა უფროსებს...

უფრო ყურადღება მისაქცევია თვით რედაქტორის მ. დ. ღამბაშიძის ოხუნჯური შენიშვნა მ. გერასიმეს წერილის თაობაზე. მაგრამ ჩვენ ვურჩევდით მ. დავითს ეს ოხუნჯობა სხვა დროისათვის შეენახა ან თუნდ თავის კარაბადინის ახალი გამოცემისათვის... ჩვენ ვიცით, რისთვისაც ეწვის კუჭი მ. დავითს მას სურს დ. ყვირილაში არც ექიმი იყოს და არც აფთექა... მაგრამ ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია მოვახსენოთ მკითხველებს, რომ ამით წამალი არ გაიეფდება...

ყვირილის აფთიექარი
სამსონ ელიაშვილი.

ივლისის 25.
დ. ყვირილა.

## ამირან-დარეჯანიანი

ამ დღეებში მე შემთხვევით მომიტანეს ერთი ხელთ-ნაწერი წიგნი, რომანი მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში დაწერილი, რომლის დამწერად მოსე ხონელს ასახელებენ. ამას უკვდავი შოთა-რუსთაველიც ამტკიცებს თავის «ვეფხის-ტყაოსნის» ბოლოს, როცა ამბობს:

«ამირან დარეჯანის-ძე მოსეს უქია ხონელსა».

ეს ხელთ-ნაწერი რომანი ადრევე მქონდა წაკითხული და დღესაც გადავათვალიერე მეორედ. იგი დაწერილია თაბახის ჩარექიანს ქაღალდზედ და შეიცავს 600 გვერდამდის. დაწერილია ნუსხურის ხელით. ენა «ვისრამიანისას» წააგავს; სიტყვების ულევლილება, კანკლედობა და სხვანი მოგაგონებენ «ვისრამიანსა».

შინაარსი ზღაპრულია და თითქმის მომეტებული ნაწილი ზღაპართ-მინაგვარი მოთხრობებისაგან შესდგება. შიგა-და-შიგ ბევრი იმისთანა ქართული სახელებიც არის მოხსენებული—მაგალითად ორდავრელი, ლამარ ლაზნელი, ბადარ იასამანის-ძე, ჭაჯეთი, ხატაეთი, ხვარაზამი, სიტყვა ქართული და სხვა ამისთანა მრავალი რომელნიც ცხადს საბუთს გვაძლევენ რომ ეს რომანი ორიგინალური ნაწარმოები უნდა იყოს და არა ნათარგმნი, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ.

კარგი იქმნება, რომ ამ რომანის გამოცემასაც ვინმემ ხელი მოჰკიდოს და მით არ დაუკარგოს საქართველოს ერს მეთორმეტე საუკუნის სხვათა მრავალთა თხზულებათა შორის ეს საუკეთესო რომანიცა.

ვინც ამ რომანს წაიკითხავს, იმას ცხადად გაახსენდება «ვეფხის-ტყაოსნის» შინაარსი. «ამირან-დარეჯანიანის» შინაარსს ერთობ დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს «ვეფხის-ტყაოსნის შინაარსზე. ეს დამტკიცდება მაშინ, როცა «ამირან-დარეჯანიანიც» დაიბეჭდება.

ამ რომანის ორი თავი ჩუბინოვის პირველსა და მეორე ქრისტომატიებშია დაბეჭდილი: თვითონ სრულს წიგნში-კი სულ თორმეტი კარია და თითო კარში რამდენიმე თავი. სრული ეგზემპლიარი დღეს ჩემს ხელშია, მაგრამ თავში ერთი ფურცელი აკლია და ბოლოშიაც რამდენიმე. ამის სრული ეგზემპლიარი ჯორაშვილების ოჯახშია დაცული, სომხეთის (სამხრეთის) მხარეს სოფელს წალასყურს. ამ წიგნის გულისთვის 1880 წ. სოფ. წალასყურშიაც წაველი, მსურდა იგი შემეძინა, მაგრამ ვერ შევიძინე, რადგანაც 25 მანათ-ნაკლებ არ დამითმეს. ეს ეგზემპლიარი-კი სრულია და ყდაშია შეკრული. ამის მეტი მე სხვა ეგზემპლიარი არსად რა მინახავს, რომ თავში, ან ბოლოში არა ჰკლებოდეს-რა.

ჩუბინოვისა და ბროსეს ცნობებიდამ სჩანს, რომ «ამირან დარეჯანიანის» ერთი ეგზემპლიარი პეტერბურგშიაც ყოფილა, მაგრამ ჩვენ რა საშუალებით ვნახოთ იგი და დავრწმუნდეთ, რომ არც იმას აკლია რამე. ამიტომ ვსთხოვ ჩვენს «წერა-კითხვის საზ. გამგეობას» მიმართონ პატივცემულ ჯორაშვილებსა და მოსთხოვონ, რომ ის «ამირან-დარეჯანიანის» ეგზემპლიარი ხსენებული გამგეობის «წიგნთ-საცავს» დაუთმონ, სადაც დარჩება სამუდამოდ და საიდამაც შესაძლებელი იქნება რომ ერთ-დროს ადვილადაც დაიბეჭდოს. ამის თქმას მე ის უფრო მაბედვინებს, რადგანაც ხმები ისმის, რომ ერთ საპატიო ქართველს გენერალს «ამირან დარეჯანიანის» დაბეჭდვა ჰსურსო, მაგრამ ხელთ-ნაწერებს ვერსად შოულობენო.

ამ მოკლეს ხანში ამ საგნის და «ამირან დარეჯანიანის» შესახებ დ. ბაქრაძესთან და პ. უმიკაშვილთან მქონდა ლაპარაკი და ესენი დიდ მნიშვნელობას აძლევენ ამ რომანს. ამათ სთქვეს:—«ამირან დარეჯანიანი» შინაარსით და ღირსებით «ვისრამიანს» არაფრით ჩამოუვარდებაო. ამ გვარი ქება და ღირსება მარტო ამათგან არ გამიგია, ამ გვარათვე მოგვითხრობენ მრავალნი ძველნი მწერალნი, როგორც მოთხრობებში, ისე ლექსებში. ყველა მათგანი ამტკიცებს, რომ «ამირან დარეჯანიანი» პირდაპირ საქართველოს ერის ცხოვრებიდამ არის აღებული, მხოლოდ იგავ-სიტყვაობით დაწერილიო. მასში ცხადლივ იხატებაო მეთორმეტე საუკუნის საქართველოს ერის ზნეობა, გულოვნება, პურმარილობა, და სხვა ხასიათებიო. იმედია, ამ რომანის გმირთა თვისებით და აღწერებით ბევრი იმისთანა მხარე აიხსნება ქართველი ხალხის წარსული ცხოვრებისა, რომელზედაც «ქართლის-ცხოვრება» და სხვა წიგნები ხმასაც არ იღებენ.

ზ. ჭიჭინაძე.

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

ივლისის 27-ს.

პეტერბურგი. იუსტიციის მინისტრი საზღვარ გარედ მიდის, ხოლო გზათა მინისტრი მიდის რკინისა და წყლის გზების დასათვალიერებლად.

ჰელსინგფორსი. ხელმწიფე იმპერატორს და მის მეუღლეს ფინლიანდიაში ხალხი დიდის ამბით მიეგება; მთლად ქალაქი გაჩირაღდნებული იყო; ხელმწიფე თავის მეუღლით ჯერ მართლ-მადიდებელთ ეკლესიაში წაბმანდა და იქიდამ სასახლეში.

ნიჟნი-ნოვგოროდი. იარმუკაზედ ხალხი ნელ-ნელა იკრიბება; მოსულნი წარსულ წელიწადზედ ნაკლებს არა ყიდულობენ; ჩითეულობა $1/4$ დამ $1/2$ კაპეიკით უფრო მცირედ იყიდება, ვიდრე მოსკოვში; ბამბის ყველა სხვა გვარ საქონელს მოემატა 3-დამ 5%; საქონელი შარშანდელს წელიწადზედ ბევრით ნაკლებად მოიტანეს. როგორც ვოლგის მხარიდამ მოსული მეიდგელეები ამბობენ, მანუფაქტურული საქონელი ადვილიაბრივ გამოილია, რადგანაც მაისში, ივნისში და ივლისში საკმაოდ კარგი გასავალი იყო. ბამბის ნართავით კარგად ვაჭრობენ; ფასი ფუთზედ ერთი მანათით უფრო მძვირია. საზოგადოდ იარმუკობა საშუალო იქნება.

ჰელსინგფორსი. დღეს მათთა იმპერატორებითთა დიდებულებათ ინახულეს სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი, რის შემდეგაც მათი უდიდებულესობანი გემით ზღვაში სასეირნოდ წაბძანდნენ და სხვათა შორის ნახეს სვეაბორგი; ღამე უნივერსიტეტში სტუდენტებმა კონცერტი გამართეს.

პარიჟი. „ჰავასის“ სააგენტოს ტელეგრამით აცნობებენ ლონდონიდამ ივლისის 26-ს, რომ დრუმონდ ვოლფი დღეს საღამოთი პირ-და-პირ სტამბოლისკენ წავა, პარიჟს გზას აუქცევს და ვენაშიაც არ დადგებაო. ოსმალეთი დღევანდლამდის უარს-ჰყოფს ინგლისის წინადადებას ინგლის-ოსმალეთის დაკავშირების შესახებ. მას ეშინიან, რომ ამით სხვა სახელმწიფოები უკმაყოფილონი არ დარჩნენ, რაკი ეგვიპტის საქმეთა ხალხთა-შორებრივი მდგომარეობა შეიცვლება; არც უნდა შეჰკრას კავშირი, რომელიც, როგორც სჩანს, რუსეთის წინააღმდეგი იქნება. დრუმონდ-ვოლფსის წასვლას სტამბოლში საგნად ისა აქვს, რომ სულთანი დაითანხმოს.

გაშტეინი. ავსტრიის იმპერატორმა და მისმა მეუღლემ იმპერატორი ვილჰელმი ნახეს და გუშინ საღამოთი აქედამ წავიდნენ.

ლონდონი. დრუმონდ-ვოლფი დღეს სტამბოლში წავიდა; სამს ან ოთხს დღეს ვენაში დარჩება.

ვენა. ავსტრო-ვენგრიის უცხო საქმეთა მინისტრი, გრაფი კალნოკი მალე ვარძინში წავა თავადი ბისმარკის სანახავად.

ბერლინი. ზანზიბარში გერმანიის ესკადრა მოვიდა, რომელიც ხუთი გემისგან შესდგება. ხმები დადის, ვითომც ესკადრა გამოეხმოთ გერმანიისა და ზანზიბარის სულთნის შორის უკმაყოფილობის გამო, რადგანაც ეს უკანასკნელი გერმანიის კოლონიებს ავიწროებდა.

ბელგრადი. რადგანაც სერბიის ზოგიერთა ადგილებში ყაჩაღობა გამძლიერდა, ამისათვის ეს ქვეყანა საომარ მდგომარეობაში ჩააყენეს.

ივლისის 28-ს.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად მადლობა უბძანა და ჯილდოები უბოძა ფინლიანდიის ჯარს ჩინებულად გაწყობისათვის.

ჰელსინგფორსი. ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა დაესწრნენ სტუდენტების კონცერტზე და მოწყალედ ელაპარაკნენ სტუდენტებს.

გუშინ აქ გაიხსნა სახელოვნო გამოფენა.

ოდესა. აქ დაწესდა კარანტინი იმ გემებისათვის, რომელნიც ხმელთა-შუა ზღვაზედ მდებარე საფრანგეთის ნავთ-სადგურებიდამ მოდიან.

ნიუ-იორკი. გუშინ აქ დიდის ამბით დამარხეს გენერალი გრანტი. პროცესია

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 ვერსზე გაიშალა. ბირჟა და მაღაზიები გლოვის ნიშნად დაჴკეტეს.

**ბელგრადი** სერბიაში შემოსულ არნაუტებისა და ჟანდარმების შორის შეტაკება მოხდა. ჟანდარმები იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ რადგან არნაუტების რიცხვი მეტობდა.

## ბირჟა

### პეტერბურგა ივლისის 26.

| | | |
|---|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— | — | $23^{11}/_{16}$ $23^{25}/_{32}$ $23^{5}/_{8}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— | — | 202 $202^{1}/_{2}$ $201^{3}/_{4}$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე | — — | 250 $249^{3}/_{4}$ |
| პოლუიმპერიალები | — | 8 მ. 33 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები | — | 8 მ. 34 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი | — | 1 მ. 31 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— | — | $5^{3}/_{4}$ და $6^{3}/_{4}$% |
| 5% ბილეთები სახემწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა | — — — | 99 მ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა | — | $97^{3}/_{4}$ მ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა | — | 97 მ. 62 კ. მყ. |
| მეოთხე გამოც. | — — | 97 მ. 37 კ. მყ. |
| მეხუთე გამოც. | — — | 97 მ. 37 კ. მყ. |
| 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც. | — | $95^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| მეორე გამოც | — — | 95 მ. 62 კ. მყ. |
| მესამე გამოც. | — — | 95 მ. 62 კ. მყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა | — | 218 მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა | — | $212^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა | — — | 174 მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— | — — | 43 წ. 88 მ. გამყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | | 18 წ. 91 მ. გამყ. |
| | | 43 წ. 89 მ. გამყ. |

## ცნობანი

### რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

**თბილისიდამ ბათუმისაკენ**
8 საათზე და 35 წამ. დილით.

**ბათუმიდამ თბილისში შემოდის**
10 საათ. 25 წამ. ღამით.

**თბილისიდამ ბაქოსკენ**
10 საათზე 55 წამზე ღამით.

**ბაქოდამ თბილისში შემოდის**
8 საათ. დილით.

**თბილისიდამ სურამისაკენ**
3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

**სურამიდამ თბილისში შემოდის**
8 საათზედ 24 წამ. დილით.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 კათათვიდამ 1 მარიამობისთვემდე 1885 წ.

გამომცხვ·რი პური რუსეთის ფქვილისა — —1 გირ. 5 კ.

| | | | |
|---|---|---|---|
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^{1}/_{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |

**იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2^{1}/_{2}$ |

**ჯვარის-მამის პური:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარის ლავაში | 1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^{1}/_{2}$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ |

**მროხის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | 7 კ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 6 კ. |
| სუკი— — — | —1 | გ. | 14 კ |
| ცხვრის ხორცი— | —1 | გ. | 8 კ |

**ღორის ხორცი:**

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. |
| მეორისა — | —1 — | გ. |

# განცხადებანი


## სანიავებელი მაშინები

ჩვენებურის (კევრით) ნალეწის გასანიავებლად, მოწყობილი ბ.ბ. ყაზბეგისაგან და სამოილოვიჩისაგან, მხოლოდ რამდენიმე-ღა დარჩენილა.

ფასი 90 მან.

მსურველთ შეუძლიანთ ნახონ ალექსანდროვის ბაღში, სამეურნეო საზოგადოების სადგურში და ბ. ყაზბეგთან, თბილისში, რკინის-გზის ვოკზალზე, დეპოს ნაჩალნიკის სადგურში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ შემდეგის ადრესით მომართონ: Тифлисъ жел. дор. вокзалъ, начальнику депо г-ну Казбекъ.

წერილების მომწერლებს უმორჩილესადა ვსთხოვთ თავიანთი ადრესები სწორედ და დაწვრილებით შეგვატყობინონ; აგრეთვე სანიავებლის გამოწერის დროს ისიც შეგვატყობინონ,— თუ რკინის გზის რომელს სტანციაზედ მოისურვებს გამოწერილი მაშინა ჩაიბარონ. (10—7)

ისყიდება

ახალი სახელმძღვანელო წიგნი

ქართული

## ქრისტომატია

უმცროს კლასებისთვის.

შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან.

ფასი თოთხმეტი შაური.

შინაარსი: ა) პატარ-პატარა წერილები, ლექსები და იგავები, ბ) ზღაპრები, გ) საქართველოს ცხოვრებიდამ და ბუნებიდამ (რჩეული ადგილები ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწერებიდამ), დ) საქართველოს ისტორიიდამ.

წიგნი ისყიდება თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ქალაქ გარედამ ვინც ერთს ეკზემპლიარს დაიბარებს, გასაგზავნი ორი შაური უნდა დაუმატოს. ვინც დაიბარებს არა ნაკლებ 10-სა, მას წიგნი დაეთმობა ცამეტ შაურად, ხოლო გაგზავნის ხარჯი კი მისი იქნება. (25—4)

ყავა მოკკო

ს. სიუ და კო.

(Ц. 2592). (46—24)

ი. ა. ფორაქოვის და დ. ზ. სარაჯოვის სპირტისა და არყის დეპოში (თბილისში დ. სარაჯოვის სახლებში სასახლის ქუჩაზედ).

ისყიდება

დაწმენდილი **პურის არაყი** სხვა და-სხვა სორტისა და აგრეთვე სხვა-და სხვა გვარი დაწმენდილი სპირტი.

ვისაც ქალაქს გარედამ დაბარება უნდა, შემდეგის ადრესით უნდა დაიბაროს: Въ Тифлисъ. Въ оптовый складъ вина и спирта И. Поракова и Д. Сараджева. (20—3)

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახალად დაიბეჭდა და ისყიდება «დროების» რედაქციაში

## ვახუშტი

## საქართველოს ისტორია

განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დიმ. ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქართით.

შედგენილი და დახატული ქაღზედ ნ. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად

## „РАДУГА“

ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ СЕМЕЙНЫЙ ЖУРНАЛЪ.

ОТКРЫТА ПОЛУГОДОВАЯ ПОДПИСКА

съ 1 июля 1885 года по 1 января 1886 года

ВО ВТОРОМЪ ПОЛУГОДІИ МЕЖДУ ПРОЧИМЪ

БУДУТЪ НАПЕЧАТАНЫ:

| | |
|---|---|
| НАДЯ ХОЛМИНА. | Романъ, въ 2-хъ частяхъ съ иллюстраціями С. А. ОРЛОВА. |
| КОЗЫРНЫЕ ТУЗЫ. | Больш. пов. изъ Кавказск. жизни съ иллюстр., Вл. И. Немировича-Данченко. |
| НАДО РАЗВОДИТЬСЯ. | Комедія въ 3-хъ актахъ, Виктора Крылова. |
| МУЖЪ ЗНАМЕНИТОСТИ. | Комедія въ 4-хъ актахъ, Князя Сумбатова. |
| СИНІИ ЧУЛОКЪ. | Комедія въ 3 дѣйств. изъ современныхъ нравовъ, Д. А. Мансфельда |

3 р. за полгода съ пересыл.

ПРИЛОЖЕНІЯ:

и множество другихъ разсказовъ, стихотвореній и. т. п.

Ноты, Моды, Салонъ, Аккордъ, Сцена, Дачная жизнь

Высылающіе 5 рублей получаютъ журналъ за весь годъ съ № 1-го и безплатную премію.

АДРЕСЪ: Москва, редакція „РАДУГИ“.

(3—3)


*Доз. ценз. Тифлисъ, 29 Іюля 1885 г.* მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი